

«nexus» ლათინური სიტყვაა. ის ქართულად ასე შეიძლება ითარგმნოს: დაკავშირება, შეკვრა, შეერთება, ხვევა, კვანძი, კავშირი. აზროვნების ისტორიაში ეს სიტყვა ერთ ძალზე მნიშვნელოვან კონტექსტში გვხვდება. შუა საუკუნეების პლატონიკოსები ადამიანს ღმერთისა და სამყაროს დამაკავშირებლად მიიჩნევდნენ.

ამ საგნობრივი შინაარსის გამოსახატად მათ მეტად მოხდენილი ფორმულა შეიმუშავეს: «Homo est nexus Dei et mundi» («ადამიანი არის კვანძი ღმერთსა და სამყაროს შორის»). ადამიანის, როგორც ღმერთსა და სამყაროს შორის არსებული «კავშირის» (nexus) შესახებ კონცეფცია და, აქედან გამომდინარე, «ღვთაებრივი ადამიანის» (homo divinus) ცნება ძალზე პოპულარული იყო ქრისტიანულ აზროვნებაში, განსაკუთრებით კი გერმანულ დომინიკანელთა სკოლაში (ალბერტ დიდი, მაისტერ ეკჰარტი, ბერთოლდ მოსბურგელი).

ამ კონცეფციის საწყისები არა მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების ნააზრევში, არამედ ანტიკურ ფილოსოფიაშიც (მაგ., პლატონთან) შეგვიძლია ვიპოვოთ. ეს ლათინური სიტყვა ინტერნეტ-სივრცეში ბაზათა მონაცემის აღმნიშვნელადაც გამოიყენება.